

ინფორმაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროგრამების შესრულების შესახებ 2018 წლის იანვარ–ივნისის პერიოდში

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ივლისი, 2018 წელი

ბათუმი


სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2018 წლის ქვეპროგრამა „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს მომსახურებას სთავაზობს შემდეგი ღონისძიებების ფარგლებში.

- ღონისძიება „მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა“, რომელიც ითვალისწინებს 0-2 წლამდე ასაკის ბავშვებში ორთოპედის კონსულტაციას, Ca-ის შემცველ მედიკამენტოზურ პრევენციას, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიურ გამოკვლევას, ორთოპედის მიერ შემთხვევის მართვის დროულ დაგეგმვას. სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება მუნიციპალიტეტებში პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე. ღონისძიებით მოსარგებლეა 0-2 წლამდე ასაკის ბავშვები (ერთჯერადად), რეგისტრირებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

2018 წლის 6 თვეში ორთოპედის პირველადი კონსულტაცია ჩაუტარდა 0-2 წლამდე ასაკის სულ 1496 ბავშვს, მ.შ: 522 გამოკვლეულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 485 ხელვაჩაურში, 111 ქედის, 142 შუახევის და 236 ხულოს პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე. საჭიროების მიხედვით, რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდა 779 ბენეფიციარს. მედიკამენტოზური პროფილაქტიკა მიიღო 1496-მა ბენეფიციარმა.

ღონისძიების ფარგლებში ჯანმრთელია დასკრინულ ბენეფიციართა 48%, 52% -ს ჩაუტარდა ინსტრუმენტული გამოკვლევა დიაგნოზის დადასტურების მიზნით, მ.შ. დიაგნოზი დაუდასტურდა 8 %-ს, 13% მიჩნეულ იქნა საეჭვოდ და საჭიროებს რენტგენოლოგიურ კვლევას 6 თვის ასაკში.

დასკრინულ ბენეფიციარებში გამოვლენილი პათოლოგიები %
მუნიციპალიტეტების მიხედვით




- **ღონისძიება „ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში“** ითვალისწინებს ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით მომსახურების ჩატარებას: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. ღონისძიებით მოსარგებლეა „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ ანტენატალურ კომპონენტში ჩართული ორსულები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.


რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 6 თვეში მომსახურება გაეწია სულ 2367 ორსულს, მ.შ: ქალაქ ბათუმის ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში - 2211 ორსულს, ქობულეთში -103 და ხულოს სამედიცინო დაწესებულებაში -53-ს.

გამოკვლევულ ბენეფიციართა 70,8 % ჯანმრთელია, დანარჩენ 29,2% -ში გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგია.

გამოვლენილი პათოლოგიები დაავადებათა ნოზოლოგიების მიხედვით




პათოლოგიათა წილი გამოკვლევულ ბენეფიციარებში მუნიციპალიტეტების მიხედვით



- ღონისძიების „ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება“ ფარგლებში „ც ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის ხორციელდება მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების თანაგადახდის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში 163 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო 208 გამოკვლევა, მკურნალობის პროცესის მონიტორინგის მიზნით 243 ბენეფიციარს ჩაუტარდა საჭირო 565 გამოკვლევა.

ღონისძიების ბენეფიციარები მუნიციპალურ ჭრილში



- ღონისძიება „ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელ ასაკში“ ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა არანაკლებ 90%-ის ჰელმინთებზე ლაბორატორიული კვლევას.

საანგარიშო პერიოდში 4236 აღსაზრდელს ჩაუტარდათ ჰელმინთებზე ლაბორატორიული კვლევა, რომელთა შორის 546-ს (12,9%-ს) დაუდასტურდა ინვაზია.

- ღონისძიების ფარგლებში „ახალშობილთა სკრინინგი მუკოვისციდოზზე“ პირველადი, საჭიროების შემთხვევაში მეორადი სკრინინგი მუკოვისციდოზზე უტარდება ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებულ ახალშობილებს, საპროგნოზო რაოდენობა 700 ახალშობილი.

რეგიონის მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებულ 177 ახალშობილს ჩაუტარდა პირველადი სკრინინგი, მ.შ: ქობულეთში 118, შუახევეში 3, ხულოში 56. საჭიროების მიხედვით განმეორებითი დიაგნოსტიკა ჩაუტარდა 2 ახალშობილს ხულოს მუნიციპალიტეტიდან. დიაგნოზი არცერთ შემთხვევაში არ დადასტურებულა.

- ღონისძიების ფარგლებში „სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა“ დაგეგმილია მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში 1 მარტის შემდეგ დაბადებულ და პირველადი სკრინინგით გამოვლენილ სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებისათვის (საპროგნოზოდ 30-ს) ჩატარება: მეორადი სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩალრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია);

იანვრის თვიდან 1 მარტამდე სმენის პირველადი სკრინინგი ოტო-აკუსტიკური ემისიის რეგისტრაციის მეთოდით ჩატარდა 53 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი 39, შუახევი 1, ხულო 13. მეორადი სკრინინგი 2, ტიმპანომეტრია 2.

პერინატალურ დაწესებულებათა რეგიონალიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, აღნიშნულ სერვისი დაწესებულებათა ვალდებულებას წარმოადგენს, სმენის პათოლოგიების მეორეული დიაგნოსტიკის მიზნით ივნისის თვეში დასრულდა სახელმწიფო შესყიდვის თანმდევი ღონისძიებები.

- ღონისძიება „ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში“ 2016-2017 წლებში იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფში ითვალისწინებს (რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების ბავშვები, 500 ბენეფიციარი), ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკას შემთხვევის დროული მართვის მიზნით, რაც მოიცავს: ალერგოლოგის კონსულტაციას, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევას, კანის პრიკ ტესტს არაინფექციური ალერგენებით, ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრას ანალიზატორით. ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეუძლია ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მიერ რეფერირებულ 6-12 წლის ასაკის არანაკლებ 100 ბენეფიციარს.

ღონისძიებით ისარგებლა 309 ბენეფიციარმა, მ.შ:

ა) ალერგოლოგის კონსულტაცია ჩატარდა 309-ს,

ბ) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 309-ს,

გ) კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 309-ს,

სულ გამოკვლეულ ბენეფიციართაგან 273 წარმოადგენს ხელშეკრულების დანართიN1-ით განსაზღვრულს, ხოლო 36 პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებულ ბენეფიციარს.

ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდი განესაზღვრა 37-ს